საქართველოს
პარლამენტი

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ
საკითხთა კომიტეტი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის გამზ. 26

N 4319/4-13
24/04/2018

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

საქართველოს ფინანსთა მინისტრს
ბატონ მამუკა ბახტაძეს

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ კახა საბანაძეს

ქ. თბილისის მერს
ბატონ კახა კალაძეს

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი 2018 წლის 30 აპრილს 13:30-საათზე ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და პრევენციის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შემაჯამებელ სხდომას გამართავს.

1 მაისს ძალაში შედის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი. ჩვენი მიზანია ამ რეფორმის დანერგვისათვის გაწეული სამუშაოს შეჯამება, სამომავლო გეგმების გაცხადება სამთავრობო, აღმასრულებელი უწყებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამედიცინო სფეროს ექსპერტების, მედიისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით.

გთხოვთ, თქვენდამი რწმუნებული უწყების სახელით, ღონისძიებაზე წარმოადგინოთ (პირადად/მოადგილემ) მცირე ინფორმაცია კანონმდებლობის ძალაში შესვლისათვის დაგეგმილი და უკვე განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

ღონისძიება გაიმართება თბილისში, რუსთაველის გამზ. N8. (საქართველოს პარლამენტის შენობა, კინო-დარბაზი კორპუსი B. საკონტაქტო პირი: ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მთავარი სპეციალისტი: ელენე ჟორჟოლაძე 599 957740 elene@parliament.ge).

პატივისცემით,

აკაკი ზოიძე

თავმჯდომარე